

ოდისევის მოგზაურობა საქართველოში ანუ როგორ ითარგმნება გმირობა¹

ქეთევან გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგიერთი ამბავი საუკუნეების მანძილზე მოგზაურობს და იცვლება. როდესაც სხვადასხვა კულტურებში გავრცელებულ, ერთ ქარგაზე აგებულ ნარატივებს ვკითხულობთ, მსგავსებებსა და ცვლილებებს იოლად ვამჩნევთ. განსხვავებები იმ „თარგმანის“ შედეგია, რომლითაც ესა თუ ის კულტურა ამ ამბავს თავისად აქცევს. ხშირად ცვლილებები უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე მსგავსებები. განსხვავებების ანალიზი გვეხმარება, ცალკეული კულტურის ის თავისებურებები დავინახოთ, რომლებიც ცვლილებას იწვევს.

ზღაპრების, მითების ვრცელი კორპუსიდან განსაკუთრებით მეტყველია საგმირო საქმეებზე მონათხრობი. გმირობის მოდელი კულტურული წარმონაქმნია. მითების ერთობლიობა ამა თუ იმ ჯგუფის „მენტალურ გეოგრაფიას“ წარმოადგენს [დე სერტო 1984:19]. გმირობა სოციუმის წევრებს შორის გაზიარებულ ღირებულებებს ეფუძნება. იმისთვის, რომ გმირობა გმირობად ჩაითვალოს, მას საზოგადოების მხრიდან „რატიფიკაცია“ სჭირდება, ქმედება გმირობად უნდა აღიარონ. თავის მხრივ, გმირობის იდეალი გავლენას ახდენს ამ კულტურაზე: გმირებს ქმნის კულტურა, ისინი კი, თავის მხრივ, ამ კულტურას ქმნიან.

ამ სტატიის მიზანია, პასუხი გასცეს კითხვას, რას გვეუბნება მონათესავე ნარატივებში არსებული განსხვავებები ისეთი კულტურული კონსტრუქტის შესახებ, როგორიცაა გმირობა და როგორია გმირობის მოდელის გენეალოგია მოცემულ კულტურაში. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სტატიაში განვიხილავ ერთი ფართოდ გავრცელებული ამბის რამდენიმე ვერსიას და ცვლილებებს სპეციფიკური გმირული ეთოსის გათვალისწინებით გავაანალიზებ. ანალიზის ეყრდნობა გმირისა და დევის შეხვედრის ამბავს, რომლის ძირითადი ქარგა ამგვარია: გმირი აღმოჩნდება ცალთვალა მწყემსი დევის გამოქვაბულში ან

1 სტატია დაიწერა ინგლისურ ენაზე.

ქოხში. დევი ადამიანის ხორციით იკვებება (აარნე-თომსონი 1137: დევის დაბრმავება. ცხვარზე ამოკრული გარბის გმირი) [აარნე ... 1987]. დევი ახერხებს გმირის დატყვევებას. გმირს შეჭმის საფრთხე ემუქრება. იგი აბრმავებს დევს და ცხვრის ტყავით შენიღბული გარბის. გმირის და დევის შეხვედრის ამბის 200-ზე მეტი ვერსიაა ცნობილი. იმისთვის, რომ ვნახოთ, ამა თუ იმ კულტურაში გმირობის თავისებური გაგება რა ცვლილებებს იწვევს, ჰომეროსის „ოდისეაში“ მოთხრობილ ვერსიას ორ ქართულ ვერსიას შევადარებ.

ვფიქრობ, ვერსიებს შორის განსხვავებები ჩნდება, როდესაც ამბავში აღწერილი გმირობის მიმღებ კულტურას გმირობის განსხვავებული აღქმა აქვს. იმისთვის, რომ ესა თუ ის ამბავი გასაგები გახდეს, იგი კულტურის სპეციფიკის მიხედვით უნდა „ითარგმნოს“. თუ ქართულ ტრადიციაში გმირების შესახებ დამკვიდრებულ დისკურსს გმირობის გაგების ბერძნულ მოდელს შევადარებთ, ვფიქრობ, გასაგები გახდება, ერთსა და იმავე ამბავში ორი განსხვავებული კულტურა რას და რატომ ცვლის. ეს ეხება როგორც ცალკეული ეპიზოდების გადაკეთებას, ისე მთლიანად ამბის მნიშვნელობის ან პათოსის შეცვლას.

საგმირო ამბების მრავალფეროვნების მიუხედავად, ჩვენთვის ცნობილ სქემებში ყველაზე გავრცელებული გმირობის ორი მოდელია. პირველ მოდელში გმირის მთავარი იარაღი გონებაა. სოციუმისთვის სარგებლის მოტანას ის ინტელექტის გამოყენებით ახერხებს. ამ მოდელს ოდისევსურს ვუწოდებ. მეორე მოდელი, თავდადებული ჰეროიზმის იდეალია, როდესაც გმირი ძირითად იარაღად ძალასა და შეუპოვრობას იყენებს. ეს მოდელი ყველაზე მეტად აქილევსის ტიპის გმირებს ეყრდნობა. კონკრეტული ვერსიების მაგალითზე განვიხილავ, როგორ „ითარგმნება“ ამბების მიგრაციისას ერთი მოდელი საპირისპირო მოდელად. მეტაფორულად ეს სტატია ოდისევსის კიდევ ერთ მოგზაურობას აღწერს: მოგზაურობას კულტურაში, რომელიც მას აქილევსად აქცევს.

გმირობა, როგორც კულტურული წარმონაქმნი

კულტურას გმირები იდენტობისთვის სჭირდება: ის ქმნის გმირებს და თავად იქმნება და განახლდება ამ გმირების ირგვლივ. გმირებს იყენებენ როგორც ამა თუ იმ ჯგუფის არსებობის გასამართლებლად, ისე წარმოშობის ასახსნელად, მათ თავყვანს სცემენ კულტში. გმირი აერთიანებს იმ თვისებებს, რომელსაც მის ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფი მიესწრაფის. ამით გმირი მჭიდროდ არის ჩაქსოვილი კულტურის ქსელში. მაგალითად, ოდისევსი ძალიან ბერძენია, მაშინ როცა, განმარტოებით, კანონების გარეშე, ველურად მცხოვრები ცალთვალა

კიკლოპი თვისებრივად „უცხოა“. გმირის ქმნადობის პროცესი დინამიური. ხანდანახ უცხო გმირებს გაითავისებს ხოლმე ესა თუ ის კულტურა. ასეთ შემთხვევებს გმირის „ანექსასიასაც“ უწოდებენ [კოლდსტრიმი 1976: 15].

გმირობა, როგორც ფენომენი, უნივერსალური და კულტურულია ერთსა და იმავე დროს. მიუხედავად იმისა, რომ კულტურები თავისებურებას განსაზღვრავენ და მოდელს ირჩევენ, გმირობას უნივერსალური მახასიათებლებიც აქვს. პირველ რიგში, როგორც ჩანს, უნივერსალურია სურვილი, რომ ზოგიერთ ქმედებასა და ადამიანს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს და მის ირგვლივ გაერთიანდნენ. ამ მისწრაფების უნივერსალურობასთან ერთად კულტურებს შორის განსხვავება ჩანს იმაში, თუ როგორ იქცევიან გმირები, როგორ გამოიყურებიან, რა არის მათი გმირობის ძირითადი იარაღი. გარემო, ისტორია და კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებს გმირობის ამა თუ იმ მოდელის ჩამოყალიბებაში. იმისთვის, რომ გმირად იწოდებოდეს, საზოგადოება ადგენს, რა უნდა იყოს გმირის ძირითადი მახასიათებელი და იარაღი, რას უნდა აკეთებდეს, როდის უნდა გაცალოს ან პირიქით, თავი გასწიროს.

გმირობის მეორე უნივერსალურ მახასიათებელად შეგვიძლია, სიამაყე მივიჩნიოთ. გმირი ამაყობს იმით, რაც გააკეთა [პერისტინი ... 1992]. ჯგუფმა, საზოგადოებამ, თავის მხრივ, უნდა აღიაროს და გაიზიაროს ეს სიამაყე და გმირობად ჩაუთვალოს. ყოველი გმირობა ქმნის გმირს და ამა თუ იმ ჯგუფისთვის მის ღირებულებას განსაზღვრავს. იმისთვის, რომ გმირი გმირი გახდეს, ჯგუფმა მასზე, როგორც გმირზე უნდა ილაპარაკოს, მას უნდა უმღეროს [კერნსი 1989: 63]. სიმღერა, ბალადა, პოემა, ამბავი – მედიუმი ქმნის გმირს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის საგმირო ამბებს სხვები მოყვებიან, ის ხდება გმირი. როგორც ჩანს, „ლეგიტიმაციის“ ან „რატიფიკაციის“ ეს საჭიროება უნივერსალურია [ნეჟი 1999]. ამავდროულად, გმირობის ეს მახასიათებელიც კულტურის ნიშნებს ატარებს და გმირობის სპეციფიკურ მოდელს შეესაბამება: ფორმა, რომლითაც ამა თუ იმ კულტურაში გმირს განადიდებენ, ამ გმირის და, შესაბამისად, კულტურისთვის მნიშვნელოვან გმირობის მოდელზე მეტყველებს. თუკი იდეალია გმირი, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს არად ადებს, მაშინ გმირობის კულმინაცია სიკვდილია. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ საგმირო საქმე დატირებით შემორჩეს შთამომავლობას და სამგლოვიარო პოეზიის თუ სიმღერის საშუალებით გავრცელდეს. თუ გადარჩენაა მნიშვნელოვანი და სიცოცხლის ბოლომდე ჯგუფის სამსახურში ყოფნა, მაშინ ეს უფრო საქებარი სიმღერა, ოდა იქნება.

საყურადღებოა, რომ გასაოცრად მცირეა ზოგადად გმრობის, როგორც ფენომენის ირგვლივ თეორიული ნაშრომები [ქენდრიკი 2010: 2].² სამეცნიერო ლიტერატურა უფრო მეტად რომელიმე კულტურის და პერიოდის ანალიზით ინტერესდება. უკანასკნელ ხანებში იყო მცდელობა, ამ საკითხისთვის ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან შეეხედათ და არა კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე. ამგვარი კვლევები ძირითადად ეხება საკითხს, გმრობა თანდაყოლილია თუ სიტუაციური. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი ამ კუთხით ეკუთვნით ზენო ი. ფრანკოს, ქეთი ბლაუსა და ფილიპ ზიმბარდოს: „ჰეროიზმი: კონცეპტუალური ანალიზი და გმირულ ქმედებასა და ალტრუიზმს შორის განსხვავება“ [ფრანკო ... 2011]. ანალიზისას ავტორები ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ გმრობისთვის დამახასიათებელ პარადოქსულ ბუნებას, არამედ მის ფარდობითობას დროსა და სივრცესთან, განსაკუთრებით კი, რაც ჩვენთვის საინტერესოა, კულტურებთან მიმართებაში: „ის, თუ რა არის გმრობა, განსაზღვრულია ისტორიით, კულტურითა და სიტუაციით. ამის გამოა, რომ ერთი რომელიმე დროის გმირი სხვა პერიოდში ანტიგმირად შეიძლება აღიქვან“ [ფრანკო ... 2011: 1].

ანთროპოლოგია და, კიდევ უფრო მეტად, ლიტერატურის კვლევები დიდად არ ინტერესდებოდა სქემებით, რომლებიც ამა თუ იმ კულტურაში გმრობისადმი დამოკიდებულებას ირეკლავდა. დასავლეთში გმრობის გაგება ძირითადად დამოკიდებული იყო ამ ფენომენის ანტიკურ ბერძნულ მნიშვნელობაზე. ეს დამოკიდებულება, როგორც ფორმის ისე შინაარსის მხრივ, იმდენად შორს წავიდა, რომ როდესაც დასავლელი ლიტერატურის კრიტიკოსები რომელიმე სხვა კულტურის ლიტერატურაში საგმირო ნარატივებს განიხილავდნენ, მათში ჰეროიკულს ვეღარ ხედავდნენ. გმირის შესახებ ნაამბობი მათთვის უცხო ფორმითა და მახასიათებლებით წარმოდგენილი, მეცნიერებს აფიქრებინებდა, რომ ამგვარი მონათხრობი საგმირო არ იყო. ამ პრობლემის ფესვები უნდა ვეძებოთ როგორც „ეთნოცენტრულობაში“, ისე მკვლევრის კულტურულად შემოფარგლულ პოზიციაში, „მნიშვნელობების ქსელში“, რომელიც მას თავისი კულტურიდან ერგო, მაგრამ რომელიც მას აღარ აძლევს განსხვავებულის აღქმის თავისუფლებას. ამგვარი ინტერპრეტაციები განსაკუთრებით ხშირი იყო ფილოლოგებისა და ისტორიკოსების შემთხვევაში, რომლებსთვისაც კულტურული განსხვავებების წაკითხვა და „თარგმნა“ ძირითად საფიქრალს არ წარმოადგენდა. ამის შედეგი იყო, მაგალითად, ის, რომ ზოგიერ-

2 გამონაკლისს წარმოადგენენ მაქს ვებერი, თეოდორ ადორნო, ჯორჯ სიმელი.

თი მკვლევრის აზრით, ჩინური საგმირო ეპოსი არ არსებობდა. ისინი ვერ ხედავდნენ ბერძნული ანტიკურობიდან მათთვის ცნობილ სქემას ჩინურ ნაწერებში და შესაბამისად საგმირო ჟანრს ველარ აკუთვნებდნენ. ჩინური „ვენიადის“ სპეციფიკური ფორმა (ალუზია „ენეიდაზე“) არაფრით ჰგავდა რომაულ და ბერძნულ საგმირო ამბებს ფორმით ან გმირობის გაგებით [ვანგი 1975: 27]. მეფე ვენს ვერ შევადარებთ აქილევსს: მათ განსხვავებული მიზნები აქვთ, განსხვავებული საშუალებები და განსხვავებული სიმღერა, რომელიც მათ გმირებად აქცევს: „გმირული პროტოტიპი კონტექსტის გათვალისწინებით ყალიბდება“ [ჰოგანი 2001: 121].

ევროპული გმირობის გენეალოგია ევროპის ისტორიის ნაყოფია. ანტიკურ ბერძნულ სამყაროს დიდი გავლენა ჰქონდა გმირობის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებისთვის. ამ ჩარჩოში თავსდება გმირობის ორ ძირითად ტიპად დაყოფაც: ერთი არის მებრძოლი გმირი, რომელიც თავს უფრო დიდი ჯგუფისთვის წირავს და თავისი ამქვეყნიური სიცოცხლის ფასად სამუდამო სახელსა და უკვდავებას მოიპოვებს. გმირობის მეორე მოდელი კი ეყრდნობა ქმედების მთავარ იარაღად რაციონალურობის გამოყენებას, რაც გულისხმობს საზოგადოებისთვის სასარგებლო ქმედებას, მაგრამ ასევე საკუთარ სიცოცხლეზე ზრუნვას. ეს ზრუნვა ორმაგ დატვირთვას ატარებს: გმირისთვის, ერთი მხრივ, სიცოცხლეს თავისთავადი ღირებულება აქვს. ამავე დროს, ის უფრო დიდხანს დგას საზოგადოების სამსახურში და საგმირო საქმეებით გმირობას ამყარებს.

ეს მოდელი კარგად არის ცნობილი ფილოსოფიიდან [ჰორკჰაიმიერი... 1969: 1940-1950] და ანტიკურობის შემსწავლელი მეცნიერებებიდან [ნეჟი 1999, კლეი 1983]. გმირობის ეს ორი გზა, რომლებიც თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ამავდროულად ავსებს, გმირების დაყოფის, დაჯგუფების და მათზე მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს ხოლმე. თითოეულ ამ გზას აქვს თავისი ძირითადი საგმირო ამბები, რომლებსაც გმირობის ამგვარი გაგება ეფუძნება. მაგალითად, ოდისევსი იმგვარი გმირობის ნიმუში და პროტოტიპია, რომელიც გონების გამოყენებით აღწევს თავის მიზანს, ხოლო აქილევსი ისეთი გმირია, რომელიც არჩევნის წინაშე დგება, აირჩიოს ამქვეყნიური სიცოცხლე თუ გასწიროს თავი და ამით სამუდამო სახელი და უკვდავება მოიპოვოს. გმირობის ამ მოდელს დაწვრილებით განვიხილავ გმირის და დევის ამბის განხილვისას. ჩემს მსჯელობას გმირობის მოდელის შესახებ ამ ცნობილ განსხვავებას დავაყრდნობ და შევეცდები, მკითხველს დავანახო, თუ როგორ კარგავს ოდისევსის გმირობის ცნობილი ამბავი თავის გმირულობას იმ კულტურაში, რო-

მელიც ძირითადად აქილევსურ გმირობას უმღერის. მეორე ვერსიაში კი ვნახავთ, ოდისევსი აქილევსად როგორ „ითარგმნება“.

მეთოდოლოგიური საკითხები

ამბავი ოდისევსისა და კიკლოპის შეხვედრის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ეპიზოდია, რომელიც ოდისევსს ევროპულ, რაციონალურ გმირად აყალიბებს. ამ ამბის ჰომეროსული ვერსია გმირისა და დევის შეხვედრის ამბის ყველაზე პოპულარული ვერსიაცაა ამავდროულად. ჰომეროსი „ოდისეას“ მე-9 თავში გვიყვება ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ოდისევსი კიკლოპ პოლიფემის გამოქვაბულში. ამ ამბის 200-ზე მეტი ვერსიაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ეს ისტორია ფილოლოგებისა და ფოლკლორისტების ყურადღების ცენტრში იყო მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ვერსიებს დიდად არ სწავლობდნენ როგორც კულტურული მახასიათებლების შემცველს. სხვადასხვა ვერსიის შესწავლისას ცენტრალური კითხვა იყო, რამდენად ეყრდნობა ეს ვერსიები ერთ წყაროს, რომელია ის ერთი წყარო, რა აქვთ საერთო ამ ვერსიებს როგორც სიმბოლოების, ისე სტრუქტურის მხრივ. წლების მანძილზე ძირითადი კითხვა იყო: არის თუ არა ყველა გავრცელებული ვერსიის პირველწყარო ჰომეროსი? თუ პირიქით, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსიცა და სხვებიც ერთ რომელიმე საერთო ნარატივს ეყრდნობოდნენ? ამ მიზნით მეცნიერები ეძებდნენ ძირითად ნარატიულ ლერძს და სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებს შეისწავლიდნენ. მხოლოდ იშვიათად თუ ექცეოდა ყურადღება სხვადასხვა ვერსიებში მიმღები კულტურების მიერ დატოვებულ კვალს, ცვლილებებს და ამ ცვლილებების გამომწვევ მიზეზებს. კითხვა, რამ გამოიწვია ესა თუ ის ცვლილება, იშვიათად ისმოდა. მ. მეეკერის გამოკვლევა დედე კორკუთის თქმულებებში თურქი გმირის თავისებურების და კულტურული სპეციფიკის შესახებ გამონაკლისს წარმოადგენს [მეეკერი 1992, კონრადი 1999]. ამ კვლევით მან ახლებური, ანთროპოლოგიური ხედვა შემოიტანა ამ ნარატივის განხილვაში.³ აქვე უნდა აღი-

3 მ. მეეკერმა შეისწავლა თურქულ ვერსიაში გმირის ხასიათში კულტურით განპირობებული თვისებები ნომადური კონტექსტის გათვალისწინებით [მეეკერი 1992: 395-417]. თურქული „დედე კორკუთის“ „ოდისეას“ მე-9 თავთან შედარებისას ის ამბობს: “If some of its episodes have been borrowed from the story of Polyphemus, they are nonetheless designed to convey the outlook on person and society very different from what one finds in book 9 of the *Odyssey*” [Meeker 1992, 396]. მეეკერისთვის გმირის ტრანსფორმაცია კულტურული კონტექსტის შედეგია. გმირი ასრულებს თავის მოვალეობებს, თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სხვებზე: “a

ნიშნოს, რომ არა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მეცნიერთა კვლევა მსგავსებების შესახებ, კულტურული მოდელების შედარებისთვის ამ ტექსტების გამოყენება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა.⁴

devotion that requires the sacrifice of personal desires and ambition and the suppression of personal fear and anxiety“ [Meeker 1992, 412]. „A hero or heroine is time and again strong, courageous, and intelligent in his or her fulfillment of such a social obligation. They rarely manifest qualities such as cleverness, deception, manipulation, inventiveness, originality, or imaginativeness, all of which would undercut a social principle of enduring and unqualified devotion to others“ [Meeker 1992, 412].

მ. მეეკერის კვლევის პასუხად ჯ. ე. კონრადმა დაწერა სტატია: “Polyphemus and Tepegöz Revisited“, სადაც იგი შემდეგს ამბობს: „At its most fundamental level, the central conflict in the tale of the blinding of the giant is a metaphor for the tension between the competing forces of social order and individual expression, authority and individuality, and yet narrative expressions of the nature of the conflict and its resolution vary greatly. This variation does not tend to fall along cultural but social lines. That is, the role of the characters [who represents the oppressed and who the oppressor], and the outcome of the conflict [who prevails], is a reflection of the social circumstances out of which the story arises“ [Conrad 1999, 288]. კონრადი გვთავაზობს გმირისა და დევის შეხვედრის ამბის ინტერპრეტაციას ფროიდზე დაყრდნობით: “Although it is clear that the Turkish tale is an expression of resentment towards an authority figure, whether the object of that resentment is specifically the father, or more generally one in a position of political and economic power, seems to fall along regional lines“ [Conrad 1999, 286]. აღწერილი ამბავი სოციალურ სტრუქტურებს და კონფლიქტებს ირეკლავს, რომელთა წარმომავლობა ავტორისთვის სოციალურია და არა კულტურული.

- 4 ვ. გრიმი [1857], ჯ. ჯ. ფრეზერი [1921], ო. ჰაკმანი [1904], დ. ფეიჯი [1976], ჯ. გლენი [1971: 133-181] და სხვებმა იკვლიეს ამ ამბის წარმოშობის ისტორია. მათი ძირითადი იდეა იყო, რომ ამ ამბის პირველწყარო არ არის ჰომეროსი. განსაკუთრებით გავლენიანი იყო დენის ფეიჯი, რომელიც მხარს უჭერდა პარალელურად განვითარების იდეას. მისთვის ჰომეროსისეული ვერსია კომპოზიტია, რომელიც საჭიროების მიხედვით იცვლება [ფეიჯი 1976: 3]: “The story of Polyphemus in the Odyssey is not an element but a compound – there is a basic story of Polyphemus, told with some variety of version, and to this the poet has added incidents from other folk-tales which were wholly independent of it.” ვ. მოილი [1921] და ვან გენეპი [1908] პირიქით თვლიდნენ, რომ ჰომეროსის „ოდისეა“ იყო ყველა სხვა ამბისთვის პირველწყარო. მათი აზრით, უპირველესი იყო ამალღებულის პოეზია, რომლითაც შემდეგ ხალხური შემოქმედება იკვებებოდა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩანს, ეს ამბავი არ არის ჰომეროსის ფანტაზიის შედეგი, ზოგიერთი ვერსია ჰომეროსთან განსაკუთრებით ახლოა. როგორც ჩანს, ზოგადად ერთი წყარო არსებობდა და კულტურებმა სხვადასხვაგვარად შეცვალეს და თარგმნეს ეს ისტორია.

ამ სტატიაში ლიტერატურული ტექსტი შედარებულია ფოლკლორულ ტექსტებთან, რაც შეიძლება, ერთი შეხედვით, მეთოდოლოგიურ პრობლემას წარმოადგენდეს, მაგრამ ორი რამით არის გამართლებული. პირველი: ერთ-ერთ ქართულ (მეგრულ) და ბერძნულ ვერსიებს შორის არსებობს სპეციფიკური მსგავსება, რომელიც ბადებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ ქართული ტექსტი (მეგრული ვერსია) ჰომეროსის ვერსიას ეყრდნობა. სიუჟეტური მსგავსების ფონზე განსაკუთრებით თვალში საცემია განსხვავება ამბის ინტერპრეტაციაში. მეორე მიზეზი: ჰომეროსის ტექსტი, ერთი მხრივ, და ქართული ტექსტები, მეორე მხრივ, საინტერესოა, როგორც გმირობის შესახებ კულტურულად რელევანტური იდეების მატარებელი. ამ ტექსტებს მე ვხედავ, როგორც ორი განსხვავებული კულტურული კონტექსტის ნაყოფს, რომლებშიც გმირობა კულტურულად სპეციფიკურია: ჰომეროსის ოდისევსი არის არსებითად ბერძენი გმირი, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდის სხვა კულტურაში გადასვლისას. ეს ტექსტები თავიანთი კულტურიდან გამომდინარე იქნება განხილული.

ლიტერატურისა და ფოლკლორული ტექსტების შედარება და ანალიზისთვის გამოყენება ეფუძნება ვარაუდს, რომ, როგორც მინიმუმ, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი კულტურიდან გადადის როგორც ფოლკლორში, ისე ლიტერატურაში. მათზე გავლენას ახდენს და პირიქით. ჰომეროსის ტექსტს ვაანალიზებ, როგორც ბერძნული კულტურისთვის სახასიათოს, ხოლო ქართულ ხალხურ ტრადიციას, როგორც გმირობის ეთოსის კულტურულად მნიშვნელოვან საბადოს. ჯ. ე. კონრადი, როცა გმირის და დევის შეხვედრის ვერსიებს განიხილავდა, წერდა: „ამ ისტორიამ 2500 წელი გაძლო და ამგვარი სამეცნიერო დაინტერესებაც გამოიწვია. მისი ნებისმიერი ანალიზი მოგვცემს საშუალებას, ამ ვერსიების საშუალებით იმ კულტურებს შევხედოთ, რომლებშიც ეს ამბავი გავრცელდა“ [1999: 278]. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ კულტურა ქმნის საგმირო ამბებს. საგმირო ამბები კი ქმნის გმირებს: იმისთვის, რომ გახდეს გმირი, სხვებმა უნდა ილაპარაკონ ამ გმირობაზე. პოლიტიკა და ძალაუფლება ცვლის და გავლენას ახდენს, ვისზე და როგორ ვლაპარაკობთ და რას მივიჩნევთ გმირობად.

გმირი და დევი – გმირობის თარგმნის შესახებ

„ოდისეას“ მე-9 თავში, – 193-563 – ჰომეროსი გვიამბობს, ტროაში გამარჯვების შემდეგ ოდისევსი თავის თანამებრძოლებთან ერთად შინ როგორ ბრუნდებოდა და გზად კიკლოპების კუნძულს მიადგა. ახლის გაცნობის სურვილით შეპყრობილმა ოდისევსმა თორმეტი საუკეთესო თანამებრძოლი შეარჩია და კუნძულზე გადავიდა. კუნძულ-

ზე ცალთვალა კიკლოპი პოლიფემი სახლობდა: მარტო და „ველურად“. კიკლოპმა ოდისევსი და მისი თანამგზავრები გამოქვაბულში გამოიმწყვდია. ოდისევსმა კიკლოპს ღვინო მიუტანა საჩუქრად და უთხრა, რომ სახელად „არვინ“ ჰქვია: „არვინ მქვია სახელად, დედ-მამა, მეგობარნი და თვისტომნი ასე მეძახიან-მეთქი“⁵

პოლიფემმა გამომწყვდეული მეომრების ჭამა დაიწყო. თავიდან ორი გაგლიჯა და შეჭამა. ოდისევსმა დაათრო პოლიფემი და შემდეგ ჩაძინებულს თვალში გახურებული შანთი ჩაარჭო და დააბრმავა. ოდისევსმა გამჭრიახობის წყალობით გამოქვაბულიდან გამოპარვა მოახერხა. თავის მეგობრებს ურჩია, ცხვრებს მუცელზე ამოკვროდნენ და როცა დილით პოლიფემმა ცხვრები გარეთ გაუშვა, ოდისევსი და მისი მეგობრები ცხვრებზე ამოკრულები გამოიპარნენ. პოლიფემი მხოლოდ ცხვრების ზურგს ამოწმებდა, რომ არავინ გაპარვოდა. კიკლოპი მიხვდა, რომ მოატყუეს და შველა მოითხოვა. როცა მეზობელი კუნძულებიდან სხვა კიკლოპები გამოეხმაურნენ, პოლიფემ დაიყვირა რომ „არავინ მოატყუა“ რადგან ოდისევსი ამ სახელით წარუდგა. მოგზაურები ნავში ჩასხდნენ ოდისევსმა გადმოსძახა, რომ მისი ნამდვილი სახელი ოდისევსია. ამგვარად იგი პოლიფემის მამის, პოსეიდონის რისხვას იმსახურებს, მაგრამ ამავე დროს გმირობას ისაკუთრებს:

[500],– პოლიფემე, თუ ვინმე კაცთაგანმა გკითხოს, ვინ დაგივსო თვალიო, უთხარი, ქალაქთა შემმუსვრელმა, ლაერტეს ძემ, ითაკელმა ოდისევსმა გამომთხარა-თქო თვალი!“

როგორც ვხედავთ, ამ ეპიზოდში გმირისა და დევის ამბის ძირითადი ელემენტებია: შეხვედრა, კონფლიქტი, კონფლიქტის გადაწყვეტა გამჭრიახობის წყალობით, გადარჩენა და გმირობის დასაკუთრება. ამ ელემენტთაგან ზოგიერთი სპეციფიკურად ჰომეროსულია. ჯ. გლენმა [გლენი 1971: 133-181] ჰომეროსის ვერსიის სტრუქტურული დეტალები შეისწავლა და სხვა ფოლკლორულ ვერსიებს შეადარა. მისი დაკვირვებით, ჰომეროსის ვერსიის ძირითადი განსხვავებები თემატურადაა და „ოდისეას“ შინაარსითაა განპირობებული. ეს აუცილებლობა მთავარი მოქმედი პირების ხასიათიდან გამომდინარეობს და კულტურულად სპეციფიკური მნიშვნელობის მატარებელია. ჰომეროსის „ოდისეაში“ კიკლოპი, დევი ჰომეროსულია, ისევე როგორც გმირის ახალი ტიპის ჰომეროსული გმირია ოდისევსი. გლენის დაკვირვებით [გლენი 1971: 133-181], ძალიან სახასიათო ჰომეროსული ეპიზოდი, როდესაც ოდისევსი თავის სახელს გამოსძახებს ნავიდან და გმირობას დაისაკუთრებს, მხოლოდ ორ სხვა ვერსიაში გვხვდება 125 ვერსიიდან და ამ

5 თარგმანი ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელისა.

ვერსიებში ჰომეროსის გავლენა ნათელია [ჰაკმანი 1904: 30]. ამათგან ერთ-ერთი ქართული, სამეგრელოში ჩაწერილი ვერსიაა.

მეგრული ვერსია ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც იგი რუსმა ეთნოგრაფმა მილერმა მე-19 საუკუნეში გამოაქვეყნა. მილერი თავისთავად დაეყრდნო პეტროვის ჩანაწერს, რომელმაც ეს ამბავი 1886 წელს ზუგდიდის მაზრაში ჩაიწერა და გამოქვეყნა. ო. ჰაკმანმა მილერის ვერსია ჩართო გმირის და დევის შეხვედრის ამბის ვერსიების კრებულში. ჰაკმანთან ეს ამბავი შემონახულია, როგორც 110 ვერსია [ჰაკმანი 1904]. მოგვიანებით, ჯ. ჯ. ფრეზერმა იგივე ისტორია „აპოლოდორუსის“ კრიტიკული გამოცემის დანართში შეიტანა, ნომრით 33 [ფრეზერი 1921].⁶

აქვე გთავაზობთ მილერის მიერ ჩაწერილი მეგრული ვერსიის შემოკლებულ ვარიანტს.⁷

რვა მეთევზე ძმა სათევზაოდ მიდის. ერთ-ერთ ნაპირთან დევი შემოეყრებათ. დევი მოქაჩავს ნავს და მეთევზეებს თავის ქვის სახლში შეათრევს. დევი კანიბალია და პირველ საღამოს უფროს ძმას მოხარშავს და შეჭამს. ერთ ფეხს ძმებს მისცემს და ისინი ფეხს დამარხავენ. ამგვარად აგრძელებს, სანამ ბოლოს ორი ძმა არ დარჩება. ღამით დარჩენილი ძმები სარს მოამზადებენ და მეორე დღით ამ სარით თვალს გამოთხრიან. დაბრმავებული დევი ამაოდ ეძებს ძმებს, რომლებიც ცხვარზე ამოკრულები იმალებიან. დღით დევი ცხვრებს საძოვარზე უშვებს, თან ზურგზე ხელს უსვამს, რომ ძმები არ გაეპარონ. ძმები კლავენ ცხვარს, გაატყავებენ, ტყავს მოიცვამენ და ამგვარად იპარებიან. სანაპიროზე თავის ნავს პოულობენ, თან მიჰყავთ საუკეთესო ცხვრები და იპარებიან. დევი გამოდის სანაპიროზე. ძმები თავიანთ სახელებს უყვირიან, რომ გააბრაზონ. დევი კი ქვას ესვრის და ძმები ჩაძირვას ძლივს გადარჩებიან.

ამ მეგრულ ვერსიაში, რომელიც არსებული ვერსიებიდან ყველაზე მეტად ჰგავს ჰომეროსის ვარიანტს, სტრუქტურული ელემენტები შემონახულია, მაგრამ ცალკეული ნაწილები აღარ ქმნის იმ მთლიანო-

6 ქართული მეცნიერება ჰაკმანის, მილერისა და პეტროვის ამ ვერსიას იცნობს. გავრცელებული ტენდენციის მიხედვით, კვლევისას ძირითადად ყურადღება ექცეოდა მსგავსებებს, საერთო წარმომავლობას და „ნასესხობებს“, ძირითადად, ქართული კულტურიდან ანტიკურში [ჩიქოვანი 1971]. არც ერთი ნაშრომი არ განიხილავდა განსხვავებებს, როგორც კულტურულად მნიშვნელოვანს.

7 სამწუხაროდ, ამ ტექსტის მხოლოდ რამდენჯერმე გაშუალებული ვერსია არის ხელმისაწვდომი. მისი მეგრული ვერსიის მოძიება ვერ შევძელი.

ბას, რისი მიღწევაც ჰომეროსმა ამ ერთიანობით შეძლო. ეს ნათელი ხდება თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ არსებითი ცვლილებებით: პირველი, ოდისევის, ინდივიდუალური გმირი, შეცვლილია უსახელო ძმებით; მეორე, შემორჩენილია სპეფიციკურად ჰომეროსული „სახელის დაძახების“ ეპიზოდი, მაგრამ თვითონ სახელები არსად ჩანს; მესამე, ოდისევისგან განსხვავებით, მეთევზე ძმები დევს შემთხვევით გადაეყრებიან. ამ ცვლილებების შედეგად თავგადასავლების მაძიებლის გმირული ისტორია გადაქცეულია თავის გადარჩენის, თავის დაძვრენის ისტორიად. მთხრობელი ზედმიწევნით იცავს ეპიზოდების თანმიმდევრობას, არ არღვევს ქარგას, მაგრამ მთავარი პესონაჟები, გადარჩენილი ძმები, კარგავენ ჰეროიკულ აურას. ჰეროიზმის და დიდების მისწრაფების გარეშე ეს მეგრული ვერსია მხოლოდ თავის გადარჩენის ისტორიაა. ოდისევის ნაცვლად ჩვენ ვიღებთ ინდივიდუალობას მოკლებული ძმების ერთფეროვან სურათს. მოკლედ განვიხილავ ჩამოთვლილ განხვავებებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც მეგრულ ვერსიას გმირულობას ართმევს, არის „მე“ თხრობის „ჩვენ“ თხრობად გადაქცევა. ინდივიდუალური, გამჭრიახი გმირი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ჰომეროსის ვერსია, მხოლოდითიდან მრავლობითში გადადის, როგორც გრამატიკულად, ისე თვისებრივად: ორი ძმა გადარჩება, ორივე ერთად ამარცხებს დევს. ეს „ჩვენობითი“ თავისი არსით უფრო ფართოა და ამბის მთხრობელი მთავარი პესონაჟებისთვის ინდივიდუალობის წართმევით მას ჰეროიკულობისგან ძარცვავს. თავისთავად მრავლობითი, როგორც გრამატიკული ფორმა ან გმირობა, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ჩაიდენს ერთად, არ არის უცხო ქართული მითოლოგიისთვის. მრავლობითობა არც ქმნის და არც არღვევს ჰეროიკულობას. დევისა და გმირის შეხვედრის მეგრულ ვერსიაში მრავლობითობა ერთი დამატებითი ნაბიჯია, რომლითაც ოდისევის განსაკუთრებულობა ძმების შემთხვევითობით იცვლება, რომელთა ჩანაცვლება ნებისმიერით იოლად შესაძლებელია. მათი სახელებიც არ ვიცით. ინდივიდუალობის ამგვარი რღვევა ჰომეროსის ვერსიასთან შედარებით თვალშისაცემია. მათი ამგვარი წარმოჩენა განსხვავდება არა მხოლოდ ოდისევისური გმირის ვერსიისგან, არამედ უცხოა გმირის აღწერის ქართული ტრადიციისთვისაც.

მეგრული ვერსია უფრო გასაგები ხდება, თუ მას წავიკითხავთ არა როგორც გმირულ ისტორიას, არამედ ამბავს გადარჩენის შესახებ. ამგვარად უფრო გასაგები ხდება, რომ მთხრობელი ყურადღებას აქცევს ძმების ერთიანობას. კულტურულად სპეციფიკურია მოლოდინი, რომ ძმები ერთმანეთს ეხმარებიან, ერთად მუშაობენ, ბოლომდე ცდი-

ლობენ, გასაჭირი გაიზიარონ. ამაში დიდ როლს ასრულებდა გარემო და ისტორიაც, როცა ერთად ცხოვრებას, დახმარებასა და თანამშრომლობას საჭიროებიდან გამომდინარე (თავდასხმები, სიღარიბე) განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ძმები, რომლებიც ერთმანეთს მხარში უდგანან, ამ „ერთობას“ ან „იგივეობას“ კულტურული ახსნა და თავისი ადგილი აქვს იმ ამბებში, რომელთა მთავარი თემა თვითგადარჩენაა.

ჰომეროსთან ყველაზე ახლოს მდგომი ეპიზოდი, როცა ძმები თავიანთ სახელებს მიაძახებენ დევს, სახეცვლილია იმგვარად, რომ ფუნქციას კარგავს. ჩვენ ვერ ვიგებთ ამ სახელებს, შესაბამისად, ისინი ამ გმირობას ვერ ისაკუთრებენ და მათი გმირობის შესახებ სხვებიც ვერ მოყვებიან. ის ეპიზოდი, რომელიც მეგრულ ვერსიას ყველაზე ახლოს ათავსებს ჰომეროსის ვერსიასთან, არის, ამავდროულად, ამ ორი ვერსიის მთავარი დაშორების წერტილი. სახელის გამხელას თან არ სდევს წყევლა, ხიფათი და არც თავგადასავლების მოყვარული გმირების რაიმე დიდი მიზანი. აქვე ვხედავთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას: ძმები არ ეძებენ თავგადასავალს, ის მათ თავს გადახდება. ოდისევსისგან განსხვავებით, მათ არ კლავს უცნოს გაცნობის წყურვილი. ისინი შემთხვევით ებმებიან მახეში და გახარებულები აღწევენ თავს ხიფათს. მათი მიზანი ისევ ჩვეულებრივ ყოფაში დაბრუნებაა და არა გმირული და ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის გაგრძელება. ყოველდღიურობა, როგორც რუტინა, ნორმალურობა, შეუთავსებელია გმირობასთან [ფითერსტონი 1992: 159-182]. მეთევზე ძმები არც ოდისევსივით ახლის შეცნობას ესწრაფვიან და არც აქილევსივით თავგანწირულები არიან. ამის გამოა, რომ ჰომეროსის ტექსტთან ფორმალური მსგავსებისა და, სავარაუდოდ, მათი ნათესაობის მიუხედავად, მეგრულ ვერსიას დაკარგული აქვს ჰომეროსის ვერსიის არსებითი ნიშანი: გადარჩენილის გმირულობა. ყველა ზემოთ განხილული ცვლილება აქცევს ამ მონათხრობს თავის დაძვრენის ისტორიად.

ამავე ქარგაზე აგებულ კიდევ ერთ ამბავში, რომელიც საქართველოშია დაცული, ნაამბობი გმირულ ისტორიად რჩება ტექსტის სტრუქტურის, ეპიზოდების შეცვლის ხარჯზე. ამბავი იმგვარადაა სახეცვლილი, რომ გმირის კულტურულად მისაღებ იდეალს მიესადაგება. ვერსია, რომელზეც აქ ვისაუბრებ, გმირი ამირანისა და დევის შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ რა ხდება, როცა ამირანი ოდისევსურ ამბავში მონაწილეობს.⁸ ამირანი ქართულ მითო-

8 ამ სტატიის მიზანმიმართული ვერსიების გარდა, არსებობს 10-მდე სხვა ცალკეული ეპიზოდი თუ ვერსია, რომელიც აარნე-თომსონის (1137) უკავშირდება: გმირისა და დევის შეხვედრა. სტატიის ავტორი მადლობას

ლოგიაში მეომარი-გმირის სახეა [ლანგი ... 1959: 454-490], ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, რაციონალური გმირის ისტორია მის შემთხვევაში როგორ შეიცვლება. ამირანთან დაკავშირებულ თქმულებებში ცალთვალა დევისა და გმირის შეხვედრის რამდენიმე ვერსია გვხვდება. ამ სტატიის მიზანია განვიხილო ვერსიას, რომელიც დაცულია ფრეზერთან ნომრით 32 [ფრეზერი 1921].⁹

ავსული ქალი მოაჯადოებს ამირანს და გამოკეტავს გამოქვაბულში, სადაც ცალთვალა დევი და მისი ვაჟი ცხოვრობენ. ვაჟი შეეცდება, მოკლას ამირანი, მაგრამ ამირანი ძლევს და მამამისის თვალწინ სიცოცხლეს გამოასალმებს. შემდეგ დევსაც დაეჭიდება, დაამარცხებს და ხანჯლით აბრმავებს. ბოლოს ავსულ ქალსაც კლავს და წასვლის წინ გამოქვაბულიდან განძიც თან მიაქვს [ფრეზერი 1921, ნომერი 32].

ამ შემოკლებულ ვერსიაში კარგად ჩანს, რომ ამირანი თავისი ხატის ერთგული რჩება: ძირითადი იარაღი, რომელსაც ის ეყრდნობა, არის ძალა. ნაამბობის ამგვარი განვითარებით ეს ეპიზოდი ამირანის შესახებ თქმულებების დიდი კორპუსის ნაწილია, სადაც გმირი ამირანი თავისი ძალით, პირდაპირობითა და თავგანწირულობით გამოირჩევა. ჩვენთვის საინტერესო ამბავი გმირის კულტურულ იდეალს უხდის ხარკს. ცვლილებების ხარჯზე ეს ამბავი გმირულობას ინარჩუნებს და მსხვერპლად სწირავს მნიშვნელოვან ეპიზოდებს, რომლებიც მეგრულ და სხვა ეპიზოდებში შენარჩუნებულია: ეშმაკობა, გაპარვა. მოკლედ მიმოვიხილო მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

ჩვენი ამბის ძირითადი სტრუქტურიდან ამირანის ვერსიაში შემორჩენილია რამდენიმე ელემენტი: შეხვედრა, კონფლიქტი და გადაჩენა, მაგრამ ის, რაც პრინციპულად იცვლება, არის გმირობის იარაღი. ჰომეროსისგან განსხვავებით ამ ვერსიაში არ ჩანს „არავინ“ ეპიზოდი, არც ღვინის შეთავაზება დევის მოსატყუებლად, არაფერი, რაც დაკავშირებულია ეშმაკობასა და რაციონალურ დაგეგმვასთან. ზოგი ეპიზოდი შენარჩუნებულია, მაგრამ ფუნქცია აქვს დაკარგული: მაგალითად, გაუგებარია, რატომ აბრმავებს უკვე დამარცხებულ დევს ამირანი, ამ დაბრმავებას ის ალარ იყენებს, რადგან მაინც ძალის

უხდის ანონიმურ რეცენზენტებს ამ ვერსიების ანალიზისთვის. ანალიზის შედეგად დგინდება, რომ თავად ცალთვალა დევისა და გმირის შეხვედრის ამბავი განსაკუთრებით პოპულარული არ ყოფილა.

9 სტატიის ორიგინალი ინგლისურ ენაზე საერთაშორისო მკითხველისთვის დაიწერა. შესაბამისად, ციტატებად მოტანილია ინგლისურ ენაზე არსებული ვერსიები, რომლებიც ხელმისაწვდომია და გასაგებია მკითხველისთვის.

გამოყენებით გამოდის გამოქვაბულიდან. ამირანის ვერსიის შემთხვევაში ვხედავთ, როგორ ემსახურება ნარატივის სტრუქტურის შეცვლა კულტურულ მოდელთან მისადაგებას. ნარატივის ლოგიკა მსხვერპლად ეწირება გმირობის ლოგიკას.

როგორც ვნახეთ, თავდაპირველად განხილული ქართული, ე. წ. მეგრული, ვერსია ჰომეროსის ტექსტთან სტრუქტურულ მსგავსებას ინარჩუნებს, მაგრამ სწორედ ამის გამო იქცევა საგმირო ამბიდან ემმაკობის, თავის დაძვრენის ამბად. მეორე ვერსია, ამირანის და დევის ამბავი, ამბის დეტალებსა და ქარგას სწირავს იმისთვის, რომ ნაამბობის გმირულობა შეინარჩუნოს. ძირითადი ცვლილება გმირის სახის ადაპტაციაა. ვფიქრობ, რომ ცვლილებები ამ ვერსიებში არ არის შემთხვევითი და ამ ორ კულტურაში (ანტიკურ ბერძნულ და ქართულ) განსხვავებული გმირობის მოდელის არსებობით აიხსნება. ქართულ კულტურაში შეუძლებელია, იყო ოდისევსის ტიპის გმირი, რომელიც თავის ძირითად ინსტრუმენტად იყენებს რაციონალურობას, ემმაკობას და ტყუილს. შესაბამისად, ის ისტორიები, რომლებიც ოდისევსის ამ თვისებებს ეყრდნობა, იმისთვის, რომ გმირულ ამბებად დარჩეს, იცვლება. ამირანის თქმულების ეპიზოდში ცვლილებები აუცილებელია, თუკი იგი მიეწერება ამირანს. სწორედ ამ ცვლილებების წყალობით ინარჩუნებს ეს ამბავი თავის გმირულობას და ირიბად - ჰომეროსის ამბავთან მსგავსებას. ამ პროცესს „კულტურულ“ თარგმანს ვუწოდებ. ოდისევსური ისტორია განიცდის ადაპტაციას და მთავარი გმირი აქილევსური ხდება.¹⁰ ანტიკურობისთვის, ქართულისგან განსხვავებით, გმირობის ორი მოდელი: აქილევსურის და ოდისევსურის თანაარსებობა შესაძლებელი იყო.

გმირობის განსხვავებული გზები: ოდისევსი და აქილევსი

საინტერესოა, რა არის ის თავისებურება, რომლითაც ოდისევსური გმირი აქილევსური გმირისგან გამოირჩევა. ოდისევსის გასაგებად ჰომეროსთან განსაკუთრებულ ყურადღებას ორი ეპიზოდი იქცევს: „არავინ“ ეპიზოდი და სახელის მიძახება ზღვიდან [ბრაუნი 1996: 1-29]. ეს ორი ეპიზოდი გადამწყვეტია ბერძენი გმირის ხასიათის გაგებისთვის.

„არავინ“ ეპიზოდი ზედმიწევნით ჰომეროსულია და ქმნის ოდისევსის ხასიათს. ჰომეროსი სიტყვებითაც თამაშობს: ოდისევსი ირჩევს სახელს, რომელიც „ემმაკობასაც“ შეიძლება, ნიშნავდეს [მეტის, იგივე „არავინ“ წოდებით ბრუნვაში და მეტისი, სიტყვა, რომელიც „ემმაკობას“ ნიშნავს]. პოლიფემს ამარცხებს „არავინ“ და ამარცხებს ემმაკობა, რომელსაც ოდისევსი ჰქვია.

¹⁰ აქილევსის და ამირანის ამბების მითიურ პარალელებზე იხ. თუთი 1998.

რა განასხვავებს ჰომეროსის ოღისევეს არა მხოლოდ ამ კონკრეტული ამბის სხვა ვერსიებისგან, არამედ გმირობის სხვა გზისგან ამავე კულტურის შიგნით, რომელსაც სიმბოლურად აქილევსურს ვუწოდებთ? „ოღისეთი“ იწყება გარდაცემა და გმირობის ახლებური იდეალი შემოდის: რაციონალური გმირობა. „ოღისეას“ მე-9 თავი, ალბათ, ყველაზე უფრო ოღისევესურია გმირობის ახლებური გაგებით: ოღისევი ბერძენი გმირია, რომელიც მოხერხებულად იყენებს ეშმაკობასა და ჭკუას. ეშმაკობა [მეტისი] მისი იდენტობის ძირითადი მარკერი ხდება. ველური და სახიფათო პოლიფემისგან განსხვავებით, ოღისევი დახვეწილი და კომპლექსური ფიგურაა. შემთხვევითი არ არის მისი გონიერების, რაციონალურობის ხაზგასმა. ამით ოღისევის ბრიყვი და უცოდინარი კიკლოპებისგან მკვეთრად გამოირჩევა.¹¹ კულტურის ნიშანი მის შემთხვევაში გონიერებაა.

მეორე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, სახელის მოძახება, ოღისევის, როგორც გონიერი და ეშმაკი გმირის სახეს ასრულებს. მას შემდეგ, რაც პოლიფემთან შეხვედრისას ოღისევის ძირითადი თვისება და იარაღი, მისი გონება წინა პლანზე გამოდის, ოღისევი, როგორც გმირიც უნდა დაიხატოს. ამისთვის კი საჭიროა, რომ ოღისევისმა გმირობისთვის აუცილებელი რამ ქნას: ეს გმირობა დაისაკუთროს. ამიტომაც, რომ რისკის ფასად მიაძახებს პოლიფემს საკუთარ სახელს და საფრთხეში იგდებს თავს („ოღისეა“ 9. 502-505). ამ ქმედებით ის ერთდროულად იმსახურებს პოსეიდონის რისხვას და გმირის სახელს.

იქნებოდა ოღისევი გმირი, თუკი უჩუმრად გაიპარებოდა კუნძულიდან და კიკლოპებს მისი ნამდვილი სახელი არ ეცოდინებოდათ? „სახელის მიძახების“ ეპიზოდში ჩვენ ვხედავთ, რომ გმირობის რაციონალურობას აქვთ თავისი ზღვარი, რომლის იქითაც გმირობა გმირობა აღარ არის. ოღისევისმა უნდა გარისკოს და ეს გმირობა დაისაკუთროს. ამის გარეშე ის გმირი ვერ იქნება. ყოველი საგმირო ქმედება ქმნის მას, როგორც გმირს. ეს არის მსხვერპლი, რომელსაც გონიერი ოღისევი სახელისთვის გაიღებს. ამასთანავე ეს არის ის ეპიზოდი, რომელიც ოღისევისში რაციონალურის გვერდით გმირულს წარმოაჩენს. ამ ეპიზოდის გარეშე პოლიფემთან შეხვედრა იქნებოდა ცრუპენტელას თავის გადარჩენის ისტორია. რაციონალურობის და გმირულობის ერთიანობა ჰომეროსის ოღისევეს და ამბის ამ ვერსიას

11 ფილოსოფოსები ამ არჩევანს კულტურულად განპირობებულს უწოდებენ: „ოღისეთი“ ბერძენები ირჩევენ რაციონალურობას და ოღისევეს. მითოლოგია მთავრდება ოღისევისით და იწყება ისტორია [ჰორკვიმერი... 1969: 1940-1950].

ყველა სხვა ვერსიისგან განასხვავებს. ჰომეროსის ვერსია გმირობის ბერძნული მოდელის გათვალისწინებით უნდა წავიკითხოთ.

ოდისევსი ჰომეროსთან რაციონალური გმირია, რომელსაც სურს, შეიმეცნოს ახალი, გაიგოს მეტი (ამიტომაც შედის გამოქვაბულში), რომელიც მზად არის გამოწვევისთვის, ცნობისმოყვარე და გაბედულია, მაგრამ ამასთანავე, მას შეუძლია, მოიტყუოს იმისთვის, რომ გადარჩეს.¹² სახელის მიძახების ეპიზოდი კი ოდისევსს ძველ მოდელთან აბრუნებს: გმირობის აქილევსურ გაგებასთან. გმირული თავგანწირვა, რომლითაც ოდისევსი თავის სახელს გამოსძახებს კიკლოპს, მას „ილიადურ“ გმირად აქცევს. აქილევსური გმირობის მოდელი სრულიად განსხვავებული გზაა.

ჰომეროსის აქილევსში კარგად ჩანს ის დაძაბულობა, რომელიც გმირობის ბერძნული მოდელის ძველ ხაზს ახასიათებს: არჩევანი ამქვეყნიურ სიცოცხლესა და უკვდავებას შორის.¹³ ანტიკური გმირები, როგორც ადამიანები ან ნახევრად ადამიანები, მოკვდავები არიან. აქილევსის სიტყვებით ვიგებთ, რა რთულია მისთვის, მებრძოლი, თავგანწირული გმირისთვის არჩევანის გაკეთება მარადიულ და დროებით სიცოცხლეს შორის. „ილიადა“, თავი 9, 410 შმდ. ვკითხულობთ:

„ორი რამ ხვედრი მიმაცილებს საფლავის ზღურბლთან: თუ დავეყონდები ტროელთ ციხის დასაღეწავად, შინ ველარ წავალ, სახელი კი ჩემი დარჩება, თუ დავბრუნდები შინ, ვეწვევი

12 გმირი, ჰეროსი, ანტიკურობაში ძალიან ფართო ცნებაა. ჰომეროსთან მებრძოლების გარდა, აედები, მომღერლებიც ჰეროსებად იწოდებიან, მაგალითად, დემოდოკე. თავად სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში მცირედით შეიცვალა. ის შეიძლება, აღნიშნავდეს როგორც გმირისთვის დადგმულ საკულტო ქანდაკებას, ისე მითის ან ეპოსის პროტაგონისტს, უპირველეს ყოვლისა კი, ნახევრად ღმერთ ფიგურას, რომელსაც თავისი კულტი აქვს და თავყვანს სცემენ. გრეგორი ნეუმა შეისწავლა ანტიკური ბერძენი გმირისთვის დამახასიათებელი თვისებები [1999].

13 გმირი ოდისევსი სიცოცხლეს ირჩევს: აქ და ახლა. ამავდროულად, ის სახელსაც იხვეჭს. სტრაუს კლეი მას მეტისის გმირს უწოდებს: სიბრძნისა და ეშმაკობის გმირს [კლეი 1983: 209]. ოდისევსის ჰეროიკულობას არაფერს აკლებს მისი ეშმაკობა. ბევრი კულტურისთვის, მათ შორის, ქართული კულტურისთვის, ტყუილის თქმა შეუთავსებელია გმირობასთან. ოდისევსის განსაკუთრებულობა მის გონიერებაშია, რომელიც მისი ძირითადი საგმირო იარაღია, მაგრამ არა ერთადერთი. ის ძლიერი და თვადადებულია, განსაკუთრებული და გამორჩეულია, და მას შეუძლია, გადარჩეს [ნიეტო ერნანდესი 2000: 345-366]. ოდისევსი ერთდროულად არის „ოდისეას“ რაციონალური გმირი და „ილიადის“ მეომარი. ის, რაც „ილიადაში“ დოლონეათი იწყება, „ოდისეაში“ გრძელდება [ფრიდრიჰი, 2011: 121-133].

*საყვარელ მამულს, სახელს ვერ ვპოვებ, სიცოცხლეს კი გავი-
ხანგრძლივებ და არ მეწვევა აბედითი სიკვდილი ადრე.*¹⁴

აქილევსის არჩევანი, უკვდავი სახელისთვის ამქვეყნიური ცხოვრება გაწიროს, მას გმირად აყალიბებს. უკვდავი სახელი, დიდება, რომელიც მას ელის, არის ის სიმღერა, ეპოსი, რომელიც მისთვის დაიწერება. როცა აქილევსი კვდება, ღმერთებიცა და ადამიანებიც იკრიბებიან, რომ დაიტირონ („ოდისეა“, 24. 64). სიმღერა, რომლითაც მას განადიდებენ, დატირებაა. ისევე როგორც, დატირებაა გმირის განდიდების ძირითადი ფორმა იმ კულტურებისთვის, სადაც მოდელად თავდადებულ გმირებს ირჩევენ. აქილევსური გმირების მთელი თაობები სიკვდილში აღწევენ გმირის დიდებას. მედიუმი, რომლითაც მათ განადიდებენ, მათ გმირებად აქცევს [ნეჟი 1999; მარტინი 1989]: „ილიადა“ ქმნის აქილევსს, როგორც გმირს.

არჩევანი საუკუნო დიდებასა და წუთისოფელს შორის, რთული არჩევანია. „ოდისეაში“ (11. 478 შმდგ) ეს თემა კიდევ ერთხელ გვხვდება, როცა აქილევსი ამ არჩევანის სირთულეს უბრუნდება. სინანული, რომლითაც აქილევსი სიცოცხლის დაკარგვაზე საუბრობს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის არჩევანს.

როდესაც თავდადებულ აქილევსსა და რაციონალურ ოდისევსზე ვსაუბრობთ, ჩვენ გმირობის ორ განსხვავებულ გზას განვიხილავთ. ვფიქრობ, ამ განსხვავების გადმოცემა საუკეთესოდ შეიძლება კ. ლევი-სტროსის მეთოდით. როდესაც ვინებაგოს ოთხ მითზე საუბრობს (მისი სტატიის მიზანი სხვაა), ლევი-სტროსი გმირობის მოდელს აგებს ვინებაგოსთვის: „თუ ადამიანი სრულ სიცოცხლეს ირჩევს, მას სრული სიკვდილი ელის. თუ ადამიანი უარს ამბობს სიცოცხლეზე და სიკვდილს ეგებება, იგი ამით ზრდის თავისი ტომის წევრების სრულ სიცოცხლეს, ხოლო თვითონ მას წილად ხვდება ნახევრად სიცოცხლის და ნახევრად გარდაცვალების გრძელი წყება...“ [ლევი-სტროსი 2008: 201]. ჩვეულებრივი ადამიანები სრულ სიცოცხლეს ირჩევენ, რომელიც სრულთან ერთად სასრულია. ჩვეულებრივი ყოფისგან განსხვავებით, გმირი სხვებისთვის ცხოვრობს, თავის ცხოვრებას თმობს და არასრული ამქვეყნიურობის ფასად უსასრულობას მოიპოვებს: „... პირველი სიცოცხლის გზას გადის ბოლომდე, მეორე კი ჯგუფის სასარგებლოდ სიცოცხლეს რისკავს“ [ლევი-სტროსი 2008: 201]. ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც დაბადებიდან სიკვდილამდე მიდის, ამ ორ წერტილს აერთებს ჩვეულებრივი სიცოცხლის შემთხვევაში. გმირის შემთხვევაში, დაბადებიდან გამომავალი ხაზი სიკვდილამდე არ მიდის. შუა გზა-

14 თარგმანი რ. მიმინოშვილისა

ზე ის გეზს იცვლის და ვერტიკალურად, უკვდავებისკენ მიემართება. ამით გმირი წყვეტს მოკვდავობის და ყოფითობის ლინეარულობას.

ანტიკურ ბერძნულ კულტურაში ოდისევსი პირველი გმირია, რომელიც ამ ორი მოდელის შეთავსებას ახერხებს. მისი ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე ჰორიზონტალურ ლინეარულობას დიდების და უკვდავების ვერტიკალურობასთან აერთიანებს. ოდისევსით გმირობის ახალი მოდელი იწყება: გმირი მოიპოვებს დიდებას (უკვდავ სახელს ანუ „კლეოს“ ანტიკურ კულტურაში) პროსოციალური ქმედებებით და ამასთანავე ახერხებს, რომ თავისი სრული სიცოცხლითაც იცხოვროს. გმირებისთვის ეს უჩვეულო გზაა.¹⁵

ოდისევსი, როგორც გმირი, ანაცვლებს აქილევსს, როგორც ერთადერთ გმირს და თავის ხაზს ქმნის [კლეი 1983: 184 შმდგ]. აქილევსი ისევ რჩება ძლიერი, პირდაპირი და თავგანწირული გმირის პროტოტიპად. მისი ხაზი გრძელდება სარაინდო ტრადიციაში. ბევრი კულტურისთვის მისი გმირული ეთოსი გმირობის ერთადერთი მოდელია. ქართული წარმოდგენა გმირობაზე „ილიადის“ აქილევსური გმირობის ტრადიციაში თავსდება.

გმირი ქართულ კულტურაში

გმირისა და ღვთის შეხვედრის მეგრულ ვერსიაზე საუბრისას ვნახეთ, რომ ოდისევსური ტიპის გმირი რთული მისაღებია ქართული ტრადიციისთვის და ამბავი გმირულობას კარგავს. გმირ ამირანის ვერსიაში კარგად ჩანს, გმირი როგორი უნდა იყოს.

იმისთვის, რომ გავიგოთ, რას ელის მსმენელი საგმირო ამბისგან, მოკლედ მიმოვიხილავ გმირული ეთოსის ძირითად მახასიათებლებს ქართულ კულტურაში. ქართული ფოლკლორის მთელი კორპუსი, იქნება ეს პოეზია, თქმულებები თუ მითები, გამოკვეთს თავდადებული გმირის სახეს, რომელიც ჯგუფის, მეგობრის, „სხვის“ ინტერესებს ეწირება. გმირის სახელისა და დიდების ძირითადი საფუძველი არის სხვებზე ზრუნვა და თავდადება. საკუთარ თავზე უარის თქმა, დაუფიქრებლად თავგანწირვა იდეალია, რომელიც ხანდახან ქართულ ხალხურ პოეზიაში „უჭკუობის“ ქებად წარმოგვიდგება. ერთ-ერთ „სიმღერეში“ ყორანი გარდაცვლილი გმირის ცხედარს ჯიჯგნის და ამბობს:

„ორნივ ყოფილან უჭკონი,

ერთმ მაინც რად არ დათმაო“ [კიკნაძე 2007:261].

რუსთაველის გმირებისთვისაც „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ („ვეფხისტყაოსანი“ 781). ყორნები, რომლებიც

15 უფრო ვრცლად ამ თემის შესახებ იხ. ზ. კიკნაძე 2007:260.

გმირების სხეულს გლეჯენ, „ჭკვიანები“ არიან, რაციონალურები. მაგრამ ისინი, ვინც ბრძოლის ველზე „უჭკუოდ“ თავს წირავს, სამუდამო დიდებასა და უკვდავებას მოიპოვებს [კიკნაძე 2007:261].

სახასიათოა, რომ მედიუმი, რომლითაც ამ ძლიერ, თავდადებულ და პირდაპირ გმირებს აღიდეგენ, არის დატირება. სამგლოვიარო პოეზია ძირითადად ქალს გულისხმობს მთხრობლად, რომელიც საყვარელ ქმარს, ძმას ან შვილს დასტირის. ამ შემთხვევაში ქალებს აქვთ ლეგიტიმაცია, შექმნან გმირები მათზე სიმღერით.

დონალდ რეიფილდი წერს, რომ ქართველი გმირი სულ სიკვდილს უყურებს თვალებში. სიცოცხლე სიკვდილის გათვალისწინებით ქართველი გმირის ძირითადი მახასიათებელია: „გმირს აქვს უცვლელი თვისება: ის აცნობიერებს საკუთარი გარდაცვალების აუცილებლობასა და სიდიადეს, სულერთია, სიკვდილის სარეცელზეა თუ გამარჯვებული ბრუნდება“ [რეიფილდი 1978: 507]. ნამდვილი გმირი მკვდარი გმირია. პოეზია, რომელიც ამ გმირებს უმღერის და ქმნის მათ, დატირებაა. სიკვდილი როგორც ერთადერთი გზა, ამ დისკურსის განუყოფელი ნაწილია.¹⁶

გზა, რომელსაც ქართველი გმირი გადის, ძალიან ჰგავს აქილევსის გზას და არჩევანს: სახელი და გარდაცვალება გრძელი და უსახელო ცხოვრების ნაცვლად. გარდაცვალება და სახელი ქართული საგმირო პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ჰომეროსის „ილიადის“ გმირების მსგავსად ქართველი გმირები ერთადერთ გზად, იქცნენ გმირებად, სიკვდილს ხედავენ. შესაბამისად, სევდა ქართული საგმირო პოეზიის განუყოფელი ნაწილია [რეიფილდი 1978:515].

„ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებისა,
თინიბექაურთ ციხესა
კუთხე მარჯვენა სკდებისა.
ზედა ზის შავი ყორანი,
ლიბოში გველი ძვრებისა,
შიგა წევს თინიბექაი,
გულს უწადინოდ კვდებისა,
გვერდს უზის ცოლი ლამაზი,
სანთელივითა დნებისა...“

სიკვდილის შეგებებით და სახელის არჩევით ქართველი გმირები უარს ამბობენ გმირობის ოდისევსურ გზაზე. მათ ქმედებას აკლია

16 დატირების ტრანსფორმაციის შესახებ იხ. ნინოშვილი [2012].

ოღისევის რაციონალურობა, ეშმაკობა. ისინი არ ეყრდნობიან გონებას გადამწყვეტ მომენტში, ქართველი გმირი „გულიანია“ და „უჭკუო“, თუ ამ ტერმინს ხალხური პოეზიის მნიშვნელობით გამოვიყენებთ. როდესაც მოწინააღმდეგე ძალიან ძლიერია და გმირი რამე ეშმაკობას მიმართავს, მთხრობელი ცდილობს, უარყოს მსგავსი მტკიცება, როგორც ტყუილი [კიკნაძე 2009:165-167]. გმირი არ ცდილობს გადარჩეს და, შესაბამისად, გადარჩენისთვის საჭირო თვისებებით არ ხასიათდება. რა თქმა უნდა, ეს დახასიათება უფრო იდეალური ტიპისაა და არსებობს გამონაკლისები, გმირები, რომლებიც უფრო საისტორიო ტრადიციის შექმნილია და ამ მოდელს არ ითვალისწინებს. მათი რაოდენობა და მნიშვნელობა შედარებით მცირეა.

ქართული ხალხური პოეზია უფრო ერთსულოვანია გმირების ქებისას. ბერძნული ტრადიციის ორხაზოვნებისგან განსხვავებით (თავდადებული გმირი და რაციონალური გმირი), ის მხოლოდ ერთ ხაზს იცნობს. მისთვის უტყნოა გმირი, რომელიც ეშმაკობას ძირითად იარაღად იყენებს და საკუთარი თავის გადარჩენისთვის იბრძვის.

ქართულ ზღაპრებში არის ერთი პერსონაჟი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ოღისევს ეშმაკობით. ეს არის ნაცარქექია, რომელიც თავს ბუხარში ნაცრის ჩხრეკით იქცევს. იგი არაფერს განსაკუთრებულს არც თავისთვის არც სხვებისთვის არ აკეთებს. ნაცარქექია ყოველდღიურობის დინებას მიჰყვება, თუმცა ეშმაკობით და გამჭრიახობით გამოირჩევა და როცა ძმები სახლიდან გააგდებენ, დევების წინააღმდეგ ეფექტურად იყენებს ჭკუას. ნაცარქექია მოგზაურობისას დევს გადაეყრება და მას ეშმაკობის საშუალებით ამარცხებს. წარმატებული თავგადასავლის შემდეგ ნაცარქექია ისევ ბუხარს და ყოველდღიურობას უბრუნდება. ამბები ნაცარქექიას შესახებ ლიმისის მომგვრელი ისტორიებია გამჭრიახი თაღლითის შესახებ. მასში არ არის არაფერი გმირული: ის არ გამოირჩევა არც ღონიერებით, არც თავდადებით და, რაც მთავარია, მას არ აქვს კეთილშობილური მიზნები. გონებას მხოლოდ თავის გადასარჩენად იყენებს.

ეშმაკობა, ტყუილი და გაცურება ქართულ მითებსა და ზღაპრებში ჰეროიზმთან შეუთავსებელია. ამ თვისებებზე უარის თქმით გმირები უარს ამბობენ ინტელექტზე, როგორც გმირობისთვის აუცილებელ ინსტრუმენტზეც. კულტურაში, სადაც სხვებისთვის თავგანწირვა მნიშვნელოვნად ითვლება, გასაგებია, ისტორიის და გარემოს გათვალისწინებით, ჰეროიზმის ეს კონსტრუქტი როგორ ჩამოყალიბდა. ქართული საგმირო ეპოსი და ფოლკლორი მებრძოლი თავდადებული გმირის მედიუმი. ქართული ჰეროიკული ეთოსი, გმირობის მოდელი სარაინდო მოდელს აგრძელებს და აქილევსის ერთგული რჩება.

დასკვნა

კულტურები თავისებურად „თარგმნიან“ გმირობას იმ ღირებულებების სისტემის და საჭიროებების შესაბამისად, რომელიც გმირობის სპეციფიკურ მოდელს ქმნის. ამბის ქარგა მიმღებ კულტურაში კულტურული მოლოდინისა და ჩარჩოს შესაბამისად იცვლება.

ერთი რომელიმე კულტურის გმირი სხვა კულტურისთვის ჩვეულებრივი ადამიანი ან სულაც, შესაძლოა, ანტიგმირი იყოს. განხილული ვერსიების მაგალითზე ვხედავთ, როგორ ხდება ნასესხები ან სხვა კულტურიდან შემოსული ამბების კულტურულ მოდელთან მისადაგება. ჰომეროსის ოდისეის ზედმიწევნით ბერძენი გმირია და ანტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილი. როდესაც ოდისეისი სხვა კულტურებში იწყებს მოგზაურობას, მისი ქმედება გაუგებარი ხდება ან მას გმირად აღარ აღიქვამენ. ამგვარად ხდება, როცა ევროპელებისთვის დიდი გმირი ოდისეისი სამეგრელოში მეთევზე ძმებად იქცევა, გლახად ან უბრალოდ, ცრუპენტელად, რომლის ერთადერთი იარაღი ეშმაკობა და ჭკუაა. ის, რაც ოდისეისს ანტიკურობის გმირად ქმნის, ართმევს მას გმირულობას სხვა კულტურებში. ჰომეროსის ოდისეისი, რომელიც გმირისა და დევის შეხვედრის ბერძნულ ვერსიაში გადასარჩენად გონებას იყენებს, მეგრულ ვერსიაში უბრალო მეთევზეებად იქცევა. ჭკვიანი ოდისეისი, რომელიც იტყუება, ქართულ საგმირო ტრადიციაში ადგილს ვერ იმკვიდრებს. ქართული საგმირო ტრადიცია აქილევსური გმირობის ერთგული რჩება. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს შემორჩენილი ვერსიების სტრუქტურაზე და ზოგად მნიშვნელობაზე, თუმცა ამ ვერსიებს კულტურის შიგნით უფრო გასაგებს ხდის. ოდისეისი კიდევ ერთი რამის გამოა უცხო გმირი: ის არ არის მხოლოდ ეშმაკი და გამჭრიახი გმირი. ის თავგადასავლებისა და ახალი სივრცეების აღმოჩენი გმირია. როგორც მოგზაური, იგი ახალი, „განმანათლებლური“ ევროპის გმირების პროტოტიპია, რომლებიც ეძებენ, პოულობენ, ცდილობენ, მიაგნონ ჭეშმარიტებას და შეისწავლონ „სხვა.“ ახლის გაცნობის სურვილი და მზაობა აყალიბებს მას იმ გმირად, რომელიც გრძელ ევროპულ ტრადიციას უდებს სათავეს. სურვილი, რომ შეისწავლონ სხვა, შეიმეცნონ ახალი, მოგზაური და თავგადასავლების მაძიებელი გმირების მახასიათებელია. ამგვარი მიზანი შორია ხოლმე ისეთი გმირებისთვის, რომლებიც თვითგადარჩენაზე არიან ორიენტირებული. ისინი იბრძვიან სხვების გადასარჩენად, კონფლიქტის მოსაგვარებლად ან ჯგუფის დასაცავად.

ამ სტატიაში განხილული ტექსტები მცირე ზომისაა და მათი განყენებული ანალიზი არ მოგვცემდა საკმარის ინფორმაციას გმირობის მოდელის შესახებ. ერთადერთი გზა, გაგვეგო სპეციფიკური ცვლილე-

ბები, იყო მათი წაკითხვა ფართო კულტურული კონტექსტისა და სხვა ძეგლების გათვალისწინებით.

კვლევისთვის ფართო თემაა, როგორ ერთიანდებიან გმირების ირგვლივ და რა პრინციპით ირჩევენ გმირებს, როგორია ძალაუფლების დინამიკა და როგორ იქმნება და იცვლება ტრადიციები. მონათესავე ამბების სხვადასხვა ვერსიების შესწავლა დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ ის მოდელები, რომლებიც კულტურის შიგნით იქმნება და „მნიშვნელობების ქსელში“ გვახვევს.

დამოწმებანი

- აარნე... 1987:** Aarne, Antti and Stith Thompson. *The Types of the Folktale: A Classification and Bibliography*, Helsinki, Suomalainen tiedeakatemia, 1987.
- ბრაუნი 1996:** Brown, Christopher G. "In the Cyclops' Cave: Revenge and Justice in "Odyssey" 9", *Mnemosyne* 49 (1), 1996, 1-29.
- ვანგი 1975:** Wang, CH. „Towards Defining a Chinese Heroism”, *Journal of the American Oriental Society*, 1975, 25-35.
- გენეპი 1908:** Gennep, Arnold van. „La Legende De Polypheme”, *Id.: Religions, Moeurs Et Legendes* 1, 1908, 155-164.
- გლენი 1971:** Glenn, Justin. *The Polyphemus Folktale and Homer's Kyklopeia*, JSTOR, 1971.
- გრამი 1857:** Grimm, Wilhelm. *Die Sage Von Polyphem.sn.*, 1857.
- თუითი 1998:** Tuite, Kevin. „Achilles and the Caucasus”, *Journal of Indo-European Studies*, vol 26 #3: 1998, 289-344.
- კერნსი 1989:** Kearns, Emily. *The Heroes of Attica*, University of London, Institute of Classical Studies, 1989.
- კენდრიკი 2010:** Kendrick, M. Gregory. *The Heroic Ideal: Western Archetypes from the Greeks to the Present*, McFarland, 2010.
- კიკნაძე 2007:** კიკნაძე, ზურაბი. ქართული ფოლკლორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2007.
- კიკნაძე 2009:** კიკნაძე, ზურაბი. ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
- კლეი 1983:** Clay, Jenny S. *The Wrath of Athena: Gods and Men in the Odyssey*, Rowman & Littlefield, 1983.

- კოლდსტრიმი 1976:** Coldstream, John N. “Hero-Cults in the Age of Homer”, *The Journal of Hellenic Studies* 96,1976, 8-17.
- კონრადი 1999:** Conrad, Jo Ann. “Polyphemus and Tepegöz Revisited: A Comparison of the Tales of the Blinding of the One-Eyed Ogre in Western and Turkish Traditions”, *Fabula* 40 (3-4),1999, 278-297.
- ლანგი... 1959:** Lang, David Marshall and Meredith-Owens, Glyn Munro. “Amiran-Darejaniani: A Georgian Romance and its English Rendering”, *Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London* 22 (1/3),1959, 454-490.
- ლევი-სტროსი 2008:** Lévi-Strauss, Claude. *Structural Anthropology*, Basic Books (AZ), 2008.
- მარტინი 1989:** Martin, Richard P. *The Language of Heroes: Speech and Performance in the Iliad*, Cornell University Press, 1989.
- მეეკერი 1992:** Meeker, Michael E. “The Dede Korkut Ethic”, *International Journal of Middle East Studies* 24 (03),1992, 395-417.
- მოილი 1921:** Meuli, Karl. *Odyssee Und Argonautika: Untersuchungen Zur Griechischen Sagengeschichte Und Zum Epos...* Buchdr. Mehr, GmbH, 1921.
- ნეჟი 1999:** Nagy, Gregory. *The Best of the Achaeans*, Baltimore, Johns Hopkins University Press, 1999.
- ნიეტო ერნანდესი 2000:** Nieto Hernandez, Pura. „Back in the Cave of the Cyclops”, *American Journal of Philology* 121 (3), 2000, 345-366.
- ნინოშვილი 2012:** Ninoshvili, Lauren. “Wailing in the Cities”: Media, Modernity, and the Metamorphosis of Georgian Women’s Expressive Labor. *Music and Politics. Volume 6, Issue 2, Summer 2012*, DOI: <http://dx.doi.org/10.3998/mp.9460447.0006.206>
- პეიჯი 1976:** Page, Denys Lionel. *The Homeric Odyssey: The Mary Flexner Lectures Delivered at Bryn Mawr College, Pennsylvania*, Greenwood Press, 1976.
- პერისტიანი... 1992:** Peristiany, John George and Julian Alfred Pitt-Rivers, *Honor and Grace in Anthropology*, Cambridge, Cambridge University Press, 1992.
- რეიფილდი 1978:** Rayfield, Donald. “The Heroic Ethos of Russian and Georgian Folk Poetry”, *The Slavonic and East European Review* 56 (4), 1978, 505-521.
